NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.10.23 16:42:22 +04'00'

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N444/2019

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია - 23 ოქტომბერი 2019 წ.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება"– ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, შპს ''კავკასუს მოტორსი'' წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ამაშუკელის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") და მეორეს მხრივ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

## 3. ხელშეკრულების საგანი.

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს SPA150033068 გამარტივებული და SPA160001144 ელექტრონული ტენდერების საშუალებით სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შეძენილი ავტომანქანების (დანართი N1) ფასიანი საგარანტიო - შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა (CPV 50112000).

3.2. საგარანტიო მომსახურების პირობები განისაზღვრება SPA150033068 გამარტივებულ და SPA160001144 ელექტრონულ ტენდერებში შპს „კავკასუს მოტორსი"-ს სატენდერო წინადადების შესაბამისად (100 000 კმ გარბენზე თანმდევი საგარანტიო მომსახურების პირობები განისაზღვრება სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი თანმდევი საგარანტიო მომსახურების ცხრილის პერიოდულობისა და ფასების მიხედვით. აღნიშნული პირობები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

3.3. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილებს დასჭირდა ფასიანი საგარანტიო მომსახურების გარდა სხვა პროფილაქტიკური სამუშაოები, მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურება განხორციელდება სერვისცენტრში არსებული პრეისკურანტის საფუძველზე (დანართი N2).

3.4. შესყიდვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი"-ს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება.

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1270 (ათასორასსამოცდაათი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. დაფინანსების წყარო- პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა".

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების გაწევის ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1. გასწიოს მომსახურება დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით SPA150033068 გამარტივებულ და SPA160001144 ელექტრონულ ტენდერებში მითითებულ სერვის ცენტრში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-9 კმ; მიცუბიშის ცენტრი);

5.5. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

5.5.1. შესაკეთებელი ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე მიყვანისთანავე შედგება შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც უნდა დაფიქსირდეს ავტომანქანის რეკვიზიტები და მიყვანის თარიღი.

5.5.2. მიმწოდებელი ვალდებულია, ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე მიყვანიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, აცნობოს შემსყიდველს ავტომანქანის შეკეთებისათვის საჭირო მომსახურების ჩამონათვალი, მისი ღირებულების მითითებით (დეფექტური აქტი/პროფორმა ინვოისი). თუ მომსახურების გაწევისათვის აუცილებელია დეფიციტური ნაწილის გამოყენება, აღნიშნულის თაობაზე ცალკე უნდა იქნეს მითითებული დეფექტურ აქტში.

5.5.3. დეფექტური აქტის მიღების შემდეგ შემსყიდველი უგზავნის მიმწოდებელს დაკვეთის ფურცელს, რომელშიც ასახული იქნება ავტომანქანაზე გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი.

5.5.4. მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ავტომანქანაზე დაკვეთიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში გასწიოს მომსახურება.გარდა 5.5.5. მუხლში არსებული გარემოებებისა.

5.5.5. თუ ავტოტექმომსახურება ეხება ძრავის კაპიტალურ რემონტს, სამღებრო-სათუნუქე სამუშაოებს და დეფიციტური სათადარიგო ნაწილით უზრუნველყოფას შესაძლებელია მომსახურების გაწევის დრო გაიზარდოს, მაგრამ არაუმეტეს 30 კალენდარულ დღემდე, რიგ შემთხვევაში, როცა დაზიანება საგარანტიო შემთხვევის კატეგორიას განეკუთვნება, რთული კატეგორიისაა, დაზიანებულია სტრუქტურულად ერთმანეთთან დაკავშირებული აგრეგატები, დასაკვეთია ნაწილი, შემსყიდველის მოთხოვნით მოწვეულიამიმწოდებელი უფლებამოსილია აცნობოს შემსყიდველს დამატებითი გონივრული ვადის შესახებ. თუ შემსყიდველის მოთხოვნით მოწვეულია ინნსპექტირების ჯგუფი ან დანიშნულია სასაქონლო ექსპერტიზა, ამ ვადების დინება შეჩერდება შესაბამისი ვადით.

5.5.6. საცხებ-საპოხი მასალების, ფილტრებისა და სამუხრუჭე ხუნდების შეცვლისას მომსახურება გაწეულ უნდა იქნას ავტომანქანის ტექ-მომსახურების გაწევის ადგილზე მიყვანიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მიმწოდებლის სერვისის მენეჯერებთან წინასწარ იქნება შეთანხმებული ავტომობილის წარმოდგენის თარიღი და დრო. (რიგითობის განსაზღვრისა და დაგეგმარების მიზნით).შეთანხმებული დროის გადაცდენის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია თავიდან განახორციელოს დაკვეთის დროის შეთანხმება.

5.5.7. მომსახურების დასრულებისთანავე, მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ, რაზეც შემდგომში შედგება მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი. თუ მომსახურების გაწევა დასრულდა არასამუშაო დღეს, მაშინ შემსყიდველისთვის ცნობება უნდა მოხდეს პირველივე სამუშაო დღეს.

5.5.8. მხარეებს შორის ამ მუხლში აღნიშნული დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით,

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის , თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

7.2 დაუძლეველი ძალა წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და მათი ქმედებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა კონტროლი აღემატება მხარეთა შესაძლებლობას.

დაუძლეველი ძალა მოიცავს შემდეგ მოვლენებს. (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი და ა.შ);
- ხანძარი, დივერსიები, ხელისუფლების არამართლზომიერი გადაწყვეტილება;
- საომარი მოქმედებები;
- სხვა მოვლენები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.

7.3 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გამო, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს შესაბამისი გარემოების დადგომისთანავე, თუ ეს შეუძლებელი არ არის იმავე გარემოების გამო. სხვა შემთხვევაში აღნიშნული მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან და SPA150033068 გამარტივებულ და SPA160001144 ელექტრონულ ტენდერებში შემოთავაზებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის შემსყიდველის კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის სერვისში დაშვება და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.

8.5. უხარისხოდ გაწეულ მომსახურებაზე ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა და აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების, SPA150033068 გამარტივებული და SPA160001144 ელექტრონული ტენდერების შედეგად გაფორმებული ავტომობილების ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.იმ პირობით, რომ საგარანტიო პერიოდში შემსყიდველის მიერ დაცული იქნება საგარანტიო მომსახურების პირობების და 100 000 კმ გარბენზე თანმდევი საგარანტიო მომსახურების პერიოდულობა. ამ პირობების და პერიოდულობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეუწყვიტოს საქარხნო გარანტია კონკრეტულ დამრღვევ ავტომობილს.

## 9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

## 10. ფასები.

ფასები განისაზღვრება SPA150033068 გამარტივებული და SPA160001144 ელექტრონული ტენდერების შესაბამისად და N2 დანართის მიხედვით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

12.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობის შესაბამისი თანხით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

12.2. ხელშეკრულების 5.5. მუხლით გათვალისწინებული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

12.4. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

12.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. გამოყენებული სამართალი და დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. დამკვეთმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და ვადა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.3. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს დამოუკიდებელ საექსპერტო დაწესებულებას.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 15. სხვა პირობები

15.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ისეთ მომსახურებაზე, რომელის არ არის ასახული აღნიშნულ ხელშეკრულებაში, განახორციელებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად.

შემსყიდველი | მიმწოდებელი

| | |
|---|---|
| ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო | შპს „კავკასუს მოტორსი“ |
| ს.კ. – 205142200<br>თბილისი, მარშალ გელოვანის N6<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ანგ.№ 200122900<br>კოდი 220101222 | ს.კ. – 436031768<br>მისამართი: (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-9 კმ; მიცუბიშის ცენტრი);<br>მომსახურე ბანკი: ს/ს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"<br>ბ.კ. – UGEBGE22<br>ა.ა. – GE50VT7000003333333333 |
| სააგენტოს უფროსი<br>ზურაბ ჩეკურაშვილი ___________________ | დირექტორი<br>___________________ გიორგი ამაშუკელი |

ს.ს.ი.პ. - სურსათის ეროვნული სააგენტო LEPL - NATIONAL FOOD AGENCY 205142200

LLC CAUCASUS MOTORS

Digitally signed by LLC CAUCASUS MOTORS
Date: 2019.10.23 17:52:13 +04'00'

## ცხრილი N1
(SPA 150033068)

| N | ავტომანქანის მარკა/მოდელი | სარეგისტრაციო N | გამოშვების წელი | საიდენტიფიკაციო N |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიცუბიში L-200 | NF-107-AG | 2015 | MMBJNKL30GH039949 |
| 2 | მიცუბიში L-200 | NF-108-AG | 2015 | MMBJNKL30GH039770 |

## ცხრილი N2
(SPA 160001144)

| N | ავტომანქანის მარკა/მოდელი | სარეგისტრაციო N | გამოშვების წელი | საიდენტიფიკაციო N |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიცუბიში L-200 | NF-114-AG | 2015 | MMBJNKL30GH040652 |
| 2 | მიცუბიში L-200 | NF-115-AG | 2015 | MMBJNKL30GH040722 |
| 3 | მიცუბიში L-200 | NF-116-AG | 2015 | MMBJNKL30GH040735 |
| 4 | მიცუბიში L-200 | NF-117-AG | 2015 | MMBJNKL30GH040797 |
| 5 | მიცუბიში L-200 | NF-118-AG | 2015 | MMBJNKL30GH040787 |
| 6 | მიცუბიში L-200 | NF-119-AG | 2015 | MMBJNKL30GH040658 |
| 7 | მიცუბიში L-200 | NF-120-AG | 2015 | MMBJNKL30GH040645 |

| ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო | შპს „კავკასუს მოტორსი“ |
|---|---|
| სააგენტოს უფროსი<br>ზურაბ ჩეკურაშვილი ______________________ | დირექტორი<br>______________________ გიორგი ამაშუკელი |

LLC CAUCASUS MOTORS

Digitally signed by LLC CAUCASUS MOTORS
Date: 2019.10.23 17:52:45 +04'00'

| № | ავტონაწილის დასახელება | რ-ბა | ფასი |
|---|---|---|---|
| 1 | ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი როლიკი | 1ც | 160 |
| 2 | ძრავის კბილანა ღვედის ამყოლი როლიკი | 1ც | 110 |
| 3 | ძრავის კბილანა ღვედის დამჭიმი მექ. (ამორტიზატორი) | 1ც | 325 |
| 4 | ძრავის კბილანა ღვედი | 1ც | 205 |
| 5 | ბალანსირის ღვედი | 1ც | 100 |
| 6 | ბალანსირის ღვედის დამჭიმი როლიკი | 1ც | 105 |
| 7 | დინამოს ღვედი | 1ც | 156 |
| 8 | კონდიციონერის ღვედი | 1ც | 60 |
| 9 | ჰაერის ფილტრი | 1ც | 80 |
| 10 | საწვავის ფილტრი | 1ც | 120 |
| 11 | ძრავის ზეთის ფილტრი | 1ც | 40 |
| 12 | კონდენციონერის ფილტრი | 1ც | 120 |
| 13 | წყლის რადიატორი | 1ც | 2200 |
| 14 | მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1ლ | 24 |
| 15 | გამანაწილებელი კოლოფის ზეთი | 1ლ | 24 |
| 16 | წინა ხიდის ზეთი | 1ლ | 24 |
| 17 | უკანა ხიდის ზეთი | 1ლ | 24 |
| 18 | ძრავის ზეთი | 1ლ | 25 |
| 19 | ჰიდრავლიკის ზეთი | 1ლ | 30 |
| 20 | სამუხრუჭო სითხე | 1ლ | 30 |
| 21 | ანტიფრიზი | 1ლ | 24 |
| 22 | სუპორტის რემ.კომპლექტი | 1ც | 60 |
| 23 | სუპორტი | 1ც | 1350 |
| 24 | სუპორტის ცილინდრი (პორშინი) | 1ც | 140 |
| 25 | სუპორტის სალასკა | 1ც | 30 |
| 26 | სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი დეტალი | 1ც | 240 |
| 27 | წინა სამუხრუჭე ხუნდების ფირფიტა | 1კომპ. | 60 |
| 28 | წინა სამუხრუჭე ხუნდების დამჭერი შპილკა | 1კომპ. | 72 |
| 29 | უკანა სამუხრუჭო ხუნდების ცილინდრი (ბაჩოკი) | 1ც | 240 |
| 30 | უკანა სამუხრუჭო ხუნდების ცილინდრის რემ. კომპლექტი | 1ც | 36 |
| 31 | უკანა სამუხრუჭე ხუნდების სარეგულირო ძელი | 1ც | 132 |
| 32 | უკანა სამუხრუჭე ხუნდების ზამბარა | 1ც | 24 |
| 33 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრი | 1ც | 1272 |
| 34 | მუხრუჭის მილი (შლანგი) | 1ც | 84 |
| 35 | ABS-ის ბლოკი | 1ც | 5304 |
| 36 | რულის ღერძის ქვედა კარდანი | 1ც | 456 |
| 37 | რულის ღერძის ზედა კარდანი | 1ც | 1920 |
| 38 | რულის ღერძის ზედა დეტალი | 1ც | 1380 |
| 39 | რულის ღერძის დამჭერი კრონშტეინი | 1ც | 36 |
| 40 | რულის კალონკა | 1ც | 4272 |
| 41 | საჭის ჰიდროგამაძლიერებელი ტუმბო | 1ც | 2604 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 42 | ჰიდრავლიკის სისტემის მაღალი წნევის მილი | 1ც | 444 |
| 43 | წინა სამუხრუჭო ხუნდები | 1კომპ | 200 |
| 44 | უკანა სამუხრუჭო ხუნდები | 1კომპ | 0 |
| 45 | საყრდენი სამუხრუჭო დისკი | 1ც | 435 |
| 46 | უკანა სამუხრუჭო ბარაბანი | 1ც | 480 |
| 47 | გადაბმულობის დისკი | 1ც | 480 |
| 48 | გადაბმულობის ქურო (პლიტა) | 1ც | 650 |
| 49 | გადაბმულობის დამწოლი საკისარი (ვიჟიმნოი) | 1ც | 180 |
| 50 | წინა ამორტიზატორი | 1ც | 450 |
| 51 | უკანა ამორტიზატორი | 1ც | 350 |
| 52 | წინა სტაბილიზატორის რეზინი | 1ც | 35 |
| 53 | წინა სტაბილიზატორის ლინკა | 1ც | 144 |
| 54 | რაზდატკის რეზინის ბალიში | 1ც | 120 |
| 55 | ჯვარედინა | 1ც | 180 |
| 56 | წინა მორგვა (სტუპიცა) | 1ც | 730 |
| 57 | უკანა ხიდის სალნიკი | 1ც | 60 |
| 58 | წინა ხიდის სალნიკი | 1ც | 60 |
| 59 | ყუმბარის პილნიკი | 1ც | 60 |
| 60 | რესორი | 1ც | 1400 |
| 61 | რესორის რეზინი | 1ც | 18 |
| 62 | წინა ქვედა გიტარა | 1ც | 760 |
| 63 | წინა ზედა გიტარა | 1ც | 456 |
| 64 | საბურავის გაიკა | 1ც | 15 |
| 65 | საბურავის შპილკა | 1ც | 15 |
| 66 | ყუმბარა (შიდა-გარე) | 1ც | 2350 |
| 67 | შიდა ყუმბარა | 1ც | 1300 |
| 68 | გარე ყუმბარა | 1ც | 1650 |
| 69 | ქვედა შარავოი | 1ც | 180 |
| 70 | ძრავის უკანა სალნიკი | 1ც | 84 |
| 71 | კარდნის დაკიდების საკისარი (პადვესნოი) | 1ც | 192 |
| 72 | კოლოფქვეშა რეზინი | 1ც | 480 |
| 73 | ძრავქვეშა რეზინი | 1ც | 144 |
| 74 | გამანაწილებელი კოლოფის ჯაჭვი | 1ც | 1476 |
| 75 | გამანაწილებელი კოლოფის ღერძის საკისარი | 1ც | 300 |
| 76 | გამანაწილებელი კოლოფის ნემსა საკისარი | 1ც | 192 |
| 77 | გამანაწილებელი კოლოფის სალნიკი | 1ც | 60 |
| 78 | გამანაწილებელი კოლოფის ღერძის გაიკა | 1ც | 48 |
| 79 | ძრავის დგუშის რგოლები (კოლიცოები) | 1ც | 60 |
| 80 | ძრავის დგუში (პორშინი) | 1ც | 312 |
| 81 | შატუნი | 1ც | 540 |
| 82 | შატუნის ვკლადიში | 1 კომპ. | 180 |
| 83 | კარენნოი ვკლადიში | 1ც | 72 |
| 84 | კალენვალის ნახევარმთვარე | 1ც | 24 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 85 | კალენვალის შკივი | 1ც | 456 |
| 86 | კალენვალის შკივის ბოლტი | 1ც | 36 |
| 87 | მახავიკი | 1ც | 950 |
| 88 | მახავიკის კბილანა | 1ც | 396 |
| 89 | ძრავის კლაპანი | 1ც | 120 |
| 90 | კლაპნის სალნიკი | 1ც | 18 |
| 91 | კლაპნის მიმწოლი ფეხი (ტალკატელი) | 1ც | 108 |
| 92 | კლაპნის ზამბარა | 1ც | 18 |
| 93 | ძრავის ზეთის წნევის სენსორი | 1ც | 60 |
| 94 | ბალანსირის ღერძის სალნიკი | 1ც | 36 |
| 95 | ძრავის წინა სალნიკი | 1ც | 48 |
| 96 | საწვავის ავზის ტივტივა | 1ც | 264 |
| 97 | საწვავის ავზის ხუფი | 1ც | 60 |
| 98 | საწვავის ტუმბო | 1ც | 4848 |
| 99 | სარქველი (დროსელი) | 1ც | 3250 |
| 100 | გაფართოვებული წყლის ავზი | 1ც | 108 |
| 101 | წყლის ტუმბო | 1ც | 850 |
| 102 | წყლის გამაგრილებელი ვენტილატორი | 1ც | 180 |
| 103 | EGR-ის გამაგრილებელი რადიატორი | 1ც | 1788 |
| 104 | შემსვლელი ჰაერის ტემპერატურის სენსორი | 1ც | 72 |
| 105 | ტურბინა | 1ც | 8600 |
| 106 | მაყუჩი | 1ც | 576 |
| 107 | მაყუჩის საკიდი რეზინი | 1ც | 24 |
| 108 | მაყუჩის შუასადები | 1ც | 24 |
| 109 | მაყუჩის შუასადები რგოლი | 1ც | 48 |
| 110 | გამშვები კოლექტორი | 1ც | 828 |
| 111 | გამშვები კოლექტორის შუასადები | 1ც | 60 |
| 112 | ანთების სპირალის რელე | 1ც | 276 |
| 113 | კალენვალის სენსორი | 1ც | 264 |
| 114 | რასპრედვალის სენსორი | 1ც | 264 |
| 115 | გადაბმულობის ქვედა ბაჩოკი | 1ც | 264 |
| 116 | გადაბმულობის ზედა ბაჩოკი | 1ც | 336 |
| 117 | გადაცემათა კოლოფის სალნიკი | 1ც | 36 |
| 118 | მანქანის სიჩქარის სენსორი | 1ც | 312 |
| 119 | გადაცემათა კოლოფის ღერძის საკისარი | 1ც | 60 |
| 120 | უკან სვლის ნათურის ჩამრთველი | 1ც | 72 |
| 121 | გამანაწილებელი კოლოფის სენსორი | 1ც | 120 |
| 122 | პატარა კარდანი | 1ც | 1550 |
| 123 | დიდი კარდანი | 1ც | 3000 |
| 124 | წინა ხიდის რედუქტორი | 1ც | 11800 |
| 125 | უკანა ხიდის რედუქტორი | 1ც | 5472 |
| 126 | საბურავის დისკის ხუფი (კალპაკი) | 1ც | 36 |
| 127 | სათადარიგო საბურავის ამწე | 1ც | 300 |
| 128 | წინა ამორტიზატორის მტვერდამცავი | 1ც | 36 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 129 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | 1ც | 310 |
| 130 | რესორის მანჟეტი (სტრმიანკა) | 1ც | 372 |
| 131 | ხელის მუხრუჭის ტროსი | 1ც | 170 |
| 132 | კარის დამჭერი დეტალი | 1ც | 60 |
| 133 | კარდნის ზაგლუშკა | 1ც | 60 |
| 134 | საჭის წევის დაბოლოვება (ნაკანეჩნიკი) | 1ც | 144 |
| 135 | საჭის წევა (ტიაგა) | 1ც | 192 |
| 136 | კარტერის ბოლტი | 1ც | 24 |
| 137 | მფრქვევანა (ფარსუნკა) | 1ც | 1950 |
| 138 | ანთების სპირალი (გამათბობელი) | 1ც | 220 |
| 139 | გამათბობელი (ფენი) | 1ც | 3096 |
| 140 | გამათბობლის ძრავი | 1ც | 576 |
| 141 | თერმოსტატი | 1ც | 80 |
| 142 | მინის საწმენდი რეზინები | 1კომპ | 80 |
| 143 | საყვირი | 1კომპ | 180 |
| 144 | წყლის მისასხმელის ავზის ძრავი | 1ც | 204 |
| 145 | უკანა ფარი (კომპლექტი) | 1ც | 450 |
| 146 | წინა ფარი (კომალექტი) | 1ც | 2000 |
| 147 | მუხრუჭის ნათურა | 1ც | 8 |
| 148 | უკუ სვლის ნათურა | 1ც | 8 |
| 149 | უკანა მოხვევის ნათურა | 1ც | 5 |
| 150 | წინა მოხვევის ნათურა | 1ც | 5 |
| 151 | ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურა | 1ც | 80 |
| 152 | გაბარიტის ნათურა | 1ც | 5 |
| 153 | წინა ფარის ნათურა H4 | 1ც | 25 |
| 154 | სალონის განათების ნათურა | 1ც | 5 |
| 155 | ფენის რადიატორი | 1ც | 792 |
| 156 | კონდიციონერის კომპრესორი | 1ც | 3720 |
| 157 | კონდიციონერის კომპრესორის მაგნიტი | 1ც | 864 |
| 158 | გასაღები | 1ც | 400 |
| 159 | წინა კარის მინა | 1 | 312 |
| 160 | უკანა კარის მინა | 1ც | 264 |
| 161 | მინის საწმენდი მექანიზმის ძრავი | 1ც | 564 |
| 162 | აკუმულატორი | 1ც | 420 |
| 163 | კონდენციონერის რადიატორი | 1ც | 1176 |
| 164 | კარის მინის ამწევი მექანიზმი | 1ც | 216 |
| 165 | კარის მინის ამწევი ძრავი | 1ც | 444 |
| 166 | რულის შლეიფი | 1ც | 480 |
| 167 | ტურბინის წნევის სენსორი | 1ც | 396 |
| 168 | სალონის წინა საფენი (კოვრიკები) | 1ც. | 130 |
| 169 | სალონის უკანა საფენი (კოვრიკები) | 1ც. | 90 |
| 170 | ინტერქულერი (ტურბოს რადიატორი) | 1ც | 2100 |
| 171 | საწვავის ავზი | 1ც | 1900 |
| 172 | ძრავის დამცავი | 1ც | 350 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 173 | დინამოს ღვედის დამჭიმი როლიკი | 1ც | 324 |
| 174 | კონდიციონერის ღვედის დამჭიმი როლიკი | 1ც | 168 |
| 175 | დინამო | 1ც | 3636 |
| 176 | სტარტერი | 1ც | 2616 |
| 177 | საწვავის წნევის რეგულატორი | 1ც | 900 |
| 178 | უკანა ნახევარღერძის (კოლუოსის) საკისარი | 1ც | 144 |
| 179 | მოხვევის მუშტა (წერო) | 1ც | 1010 |
| 180 | ABS-ის სენსორი | 1ც | 696 |
| 181 | საჭის წევის მტვერდამცავი | 1ც | 72 |
| 182 | წყლის რადიატორის ხუფი | 1ც | 48 |
| 183 | ხიდის საკისარი | 1ც | 96 |
| 184 | წინა ხიდის საჰაერო | 1ც | 24 |
| 185 | EGR-ის კლაპანი | 1ც | 840 |
| 186 | ჰიდრომუფტა | 1ც | 912 |
| 187 | ძრავის ხუფის შუასადები | 1ც | 60 |
| 188 | ძრავის გალოვკის შუასადები | 1ც | 168 |
| 189 | რასპრედვალის სალნიკი | 1ც | 36 |
| 190 | ძრავის ბლოკის ხუფი (ზაგლუშკა) | 1ც | 24 |
| 191 | ბენდექსი | 1ც | 96 |
| 192 | ფრეონი | 100გრ | 24 |
| 193 | დინამოს საკისარი | 1 | 84 |
| 194 | საბურავის ჯაჭვი | 1კომპ | 212 |
| 195 | რაზდატკა | 1ც | 11000 |
| 196 | ძრავის შლანგი(ტრუპკები) | 1ც | 130 |
| 197 | ძრავის გამოსარეცხი სითხე | 1ც | 27 |
| 198 | ნისლსაწინააღმდეგო ფარი | 1ც | 610 |
| 199 | საქარე მინის საწმენდი სითხე | 1ლ | 15 |

| № | მომსახურების დასახელება | რ-ბა | ფასი |
|---|---|---|---|
| 1 | ძრავის დიაგნოსტიკა | 1კომპ | 10 |
| 2 | ძრავის კბილანა ღვედის, დამჭიმის შეცვლა | 1კომპ | 270 |
| 3 | სავალი ნაწილის დათვალიერება | 1კომპ | 10 |
| 4 | დინამოს ღვედის შეცვლა | 1ც | 20 |
| 5 | კონდიციონერის ღვედის შეცვლა | 1ც | 40 |
| 6 | წინა ამორტიზატორის შეცვლა | 1ც | 50 |
| 7 | უკანა ამორტიზატორის შეცვლა | 1ც | 30 |
| 8 | წინა სტაბილიზატორის რეზინის შეცვლა | 1ც | 15 |
| 9 | წინა ზედა გიტარის შეცვლა | 1ც | 40 |
| 10 | წინა სტაბილიზატორის ლინკის შეცვლა | 1ც | 20 |
| 11 | წინა ქვედა გიტარის შეცვლა | 1ც | 60 |
| 12 | საჭის წევის დაბოლოვების შეცვლა | 1ც | 20 |
| 13 | საწვავის ფილტრის შეცვლა | 1ც | 20 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 | ძრავში ზეთის და ფილტრის შეცვლა | 1ც | 15 |
| 15 | წყლის რადიატორის მოხსნა-დაყენება | 1ც | 70 |
| 16 | წყლის რადიატორის შეკეთება | 1ც | 30-80 |
| 17 | მექანიკურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა | 1ც | 15 |
| 18 | გამანაწილებელ კოლოფში ზეთის შეცვლა | 1ც | 15 |
| 19 | წინა ხიდში ზეთის შეცვლა | 1ც | 15 |
| 20 | უკანა ხიდში ზეთის შეცვლა | 1ც | 15 |
| 21 | ჰიდრავლიკის ზეთის შეცვლა | 1ც | 40 |
| 22 | წინა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა | 1კომპ | 20 |
| 23 | უკანა სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა | 1კომპ | 45 |
| 24 | უკანა სამუხრუჭე ხუნდების ცილინდრის შეცვლა | 1ც | 40 |
| 25 | უკანა სამუხრუჭო ხუნდების ცილინდრის რემ. კომპლექტის შეცვლა | 1ც | 50 |
| 26 | უკანა სამუხრუჭე ხუნდების მექანიზმის შეკეთება | 1ც | 50 |
| 27 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრის შეცვლა | 1ც | 60 |
| 28 | მუხრუჭის მილის შეცვლა | 1ც | 40 |
| 29 | ABS-ის ბლოკის შეცვლა | 1ც | 100 |
| 30 | საყრდენი სამუხრუჭო დისკის შეცვლა | 1ც | 30 |
| 31 | საყრდენი სამუხრუჭო დისკის ახარატება | 1ც | 30 |
| 32 | სამუხრუჭო სისტემის დაჰაერება (პრაკაჩკა) | 1კომპ | 60 |
| 33 | სუპორტის სალასკების შეპოიხვა | 1ც | 20 |
| 34 | კალენვალის შკივის მოხსნა-დაყენება | 1ც | 150 |
| 35 | კალენვალის შკივის შეკეთება | 1ც | 80 |
| 36 | მახავიკის კბილანის შეცვლა | 1ც | 350 |
| 37 | ძრავის გალოვკის მოხსნა-დაყენება | 1ც | 580 |
| 38 | ძრავის გალოვკის შეკეთება | 1ც | 900 |
| 39 | ძრავის გალოვკის ბზარზე შემოწმება | 1ც | 60 |
| 40 | ძრავის გალოვკის მოხეხვა | 1ც | 50 |
| 41 | ძრავის ზეთის წნევის სენსორის შეცვლა | 1ც | 50 |
| 42 | საწვავის ავზის ტივტივას შეცვლა | 1ც | 30 |
| 43 | საწვავის ტუმბოს მოხსნა-დაყენება | 1ც | 350 |
| 44 | გაფართოვებული წყლის ავზის შეცვლა | 1ც | 20 |
| 45 | წყლის ტუმბოს შეცვლა | 1ც | 300 |
| 46 | წყლის გამაგრილებელი ვენტილატორის შეცვლა | 1ც | 50 |
| 47 | EGR-ის გამაგრილებელი რადიატორის შეცვლა | 1ც | 110 |
| 48 | შემსვლელი ჰაერის ტემპერატურის სენსორის შეცვლა | 1ც | 20 |
| 49 | ტურბინის მოხსნა-დაყენება | 1ც | 70 |
| 50 | მაყუჩის მოხსნა-დაყენება | 1ც | 100 |
| 51 | მაყუჩის შუასადების შეცვლა | 1ც | 30 |
| 52 | მაყუჩის შუასადები რგოლის შეცვლა | 1ც | 30 |
| 53 | გამშვები კოლექტორის მოხსნა-დაყენება | 1ც | 270 |
| 54 | ანთების სპირალის რელეს შეცვლა | 1ც | 30 |
| 55 | კალენვალის სენსორის შეცვლა | 1ც | 400 |
| 56 | რასპრედვალის სენსორის შეცვლა | 1ც | 20 |
| 57 | გადაბმულობის ქვედა ბაჩოკის შეცვლა | 1ც | 60 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 58 | გადაბმულობის ზედა ბაჩოკის შეცვლა | 1ც | 90 |
| 59 | მანქანის სიჩქარის სენსორის შეცვლა | 1ც | 40 |
| 60 | გადაცემათა კოლოფის ღერძის საკისარის შეცვლა | 1ც | 150 |
| 61 | უკან სვლის ნათურის ჩამრთველის შეცვლა | 1ც | 30 |
| 62 | გამანაწილებელი კოლოფის სენსორის შეცვლა | 1ც | 40 |
| 63 | გამანაწილებელი კოლოფის სენსორის შეკეთება | 1ც | 50 |
| 64 | კარდნის მოხსნა-დაყენება | 1ც | 30 |
| 65 | წინა ხიდის რედუქტორის შეცვლა | 1ც | 250 |
| 66 | უკანა ხიდის რედუქტორის შეცვლა | 1ც | 250 |
| 67 | სათადარიგო საბურავის ამწეს მოხსნა-დაყენება | 1ც | 30 |
| 68 | წინა ამორტიზატორის მტვერდამცავის შეცვლა | 1ც | 50 |
| 69 | ამორტიზატორის ზამბარის შეცვლა | 1ც | 50 |
| 70 | კარის დამჭერი დეტალის შეცვლა | 1ც | 100 |
| 71 | მინის საწმენდი მექანიზმის ძრავის შეცვლა | 1ც | 60 |
| 72 | კარის მინის ამწევი მექანიზმის შეცვლა | 1ც | 60 |
| 73 | კარის მინის ამწევი ძრავის შეცვლა | 1ც | 70 |
| 74 | რულის შლეიფის შეცვლა | 1ც | 100 |
| 75 | სავალი ნაწილის შეკოხვა | 1კომპ | 15 |
| 76 | თვლების შეყრა | 1კომპ | 40 |
| 77 | რულის ღერძის მოხსნა-დაყენება | 1ც | 250 |
| 78 | რულის ღერძის დამჭერი კრონშტეინის შეცვლა | 1ც | 40 |
| 79 | ანტიფრიზის შეცვლა | 1კომპ | 30 |
| 80 | რაზდატკის რეზინის ბალიშის შეცვლა | 1ც | 20 |
| 81 | ჯვარედინას შეცვლა | 1ც | 50 |
| 82 | სუპორტის რემკომპლექტის შეცვლა | 1ც | 40 |
| 83 | სუპორტის შეცვლა | 1ც | 30 |
| 84 | სუპორტის ცილინდრის (პორშინი) შეცვლა | 1ც | 40 |
| 85 | წინა სტუპიცის შეცვლა | 1ც | 80 |
| 86 | საჭის წევის მტვერდამცავის შეცვლა | 1ც | 30 |
| 87 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | 1ც | 10 |
| 88 | ხელის მუხრუჭის ტროსის შეცვლა | 1ც | 50 |
| 89 | საჭის ჰიდროგამაძლიერებელი ტუმბოს მოხსნა-დაყენება | 1ც | 70 |
| 90 | ჰიდრავლიკის სისტემის მაღალი წნევის მილის შეცვლა | 1ც | 80 |
| 91 | ძრავის ბლოკის შეკეთება | 1ც | 2080 |
| 92 | ძრავის გაზებზე შემოწმება | 1ც | 30 |
| 93 | დროსელის გაწმენდა | 1ც | 20 |
| 94 | დროსელის მოხსნა-დაყენება | 1ც | 50 |
| 95 | ფრეონით დატუმბვა | 100გრ | 20 |
| 96 | ნახევარღერძის (პოლუოსის) სალნიკის შეცვლა | 1ც | 70 |
| 97 | ნახევარღერძის (პოლუოსის) მოხსნა-დაყენება | 1ც | 90 |
| 98 | უკანა ხიდის სალნიკის შეცვლა | 1ც | 40 |
| 99 | წინა ხიდის სალნიკის შეცვლა | 1ც | 40 |
| 100 | ბალანსირის ღერძის სალნიკის შეცვლა | 1ც | 250 |
| 101 | გადაცემათა კოლოფის სალნიკის შეცვლა | 1ც | 50 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 102 | სიჩქარის შემზღუდველი ხმოვანი სიგნალის მოხსნა | 1კომპ | 100 |
| 103 | კარდნის ზაგლუშკის შეკეთება | 1ც | 80 |
| 104 | გასაღების პროგრამირება | 1ც | 100 |
| 105 | გასაღების გამოჭრა | 1ც | 20 |
| 106 | გამანაწილებელი კოლოფის სალნიკის შეცვლა | 1ც | 40 |
| 107 | ყუმბარის პილნიკის შეცვლა | 1ც | 50 |
| 108 | რესორის მოხსნა-დაყენება | 1ც | 100 |
| 109 | რესორის დაშლა-აწყობა | 1ც | 60 |
| 110 | რესორის რეზინის შეცვლა | 1ც | 10 |
| 111 | წინა ფარის მოხსნა-დაყენება | 1ც | 80 |
| 112 | უკანა ფარის მოხსნა-დაყენება | 1ც | 20 |
| 113 | უკანა სამუხრუჭო ბარაბნის შეცვლა | 1ც | 30 |
| 114 | გადაბმულობის კომპლექტის შეცვლა | 1ც | 350 |
| 115 | კონდენციონერის რადიატორის შეცვლა | 1ც | 80 |
| 116 | ფეჩის რადიატორის შეცვლა | 1ც | 350 |
| 117 | კონდიციონერის კომპრესორის მოხსნა-დაყენება | 1ც | 250 |
| 118 | კონდიციონერის კომპრესორის მაგნიტის შეცვლა | 1ც | 350 |
| 119 | წყლის მისასხმელი ავზის ძრავის შეცვლა | 1ც | 70 |
| 120 | გამათბობლის შეცვლა | 1ც | 400 |
| 121 | გამათბობლის ძრავის შეცვლა | 1ც | 100 |
| 122 | შიდა-გარე ყუმბარის შეცვლა | 1ც | 40 |
| 123 | შიდა ყუმბარის შეცვლა | 1ც | 50 |
| 124 | გარე ყუმბარის შეცვლა | 1ც | 50 |
| 125 | საყვირის შეცვლა | 1კომპ | 50 |
| 126 | თერმოსტატის შეცვლა | 1ც | 80 |
| 127 | გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება | 1ც | 300 |
| 128 | გადაცემათა კოლოფის დაშლა-აწყობა | 1ც | 700 |
| 129 | ზედა შარავოის შეცვლა | 1ც | 20 |
| 130 | ქვედა შარავოის შეცვლა | 1ც | 45 |
| 131 | ძრავის უკანა სალნიკის შეცვლა | 1ც | 350 |
| 132 | ძრავის წინა სალნიკის შეცვლა | 1ც | 300 |
| 133 | საბურავის შპილკის და გაიკის შეცვლა | 1კომპ | 10 |
| 134 | კონდენციონერის ფილტრის შეცვლა | 1ც | 10 |
| 135 | საჭის წევის შეცვლა | 1ც | 30 |
| 136 | კარდნის დაკიდების საკისარის შეცვლა | 1ც | 80 |
| 137 | კოლოფქვეშა რეზინის შეცვლა | 1ც | 30 |
| 138 | ტურბინის წნევის სენსორის შეცვლა | 1ც | 15 |
| 139 | ელექტროობის სრული დიაგნოსტიკა | 1კომპ | 30 |
| 140 | მფრქვევანა ფარსუნკის მოხსნა-დაყენება | 1ც | 300 |
| 141 | მფრქვევანის სტენდზე შემოწმება | 1ც | 30 |
| 142 | მფრქვევანის შეკეთება | 1ც | 480 |
| 143 | ანთების სპირალის (გამათბობლის) შეცვლა | 1ც | 15 |
| 144 | ანთების სპირალების შემოწმება | 1ც | 150 |
| 145 | საწვავის სისტემის რეგულირება | 1კომპ | 90 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 146 | საწვავის ავზის მოხსნა-დაყენება | 1კომპ | 100 |
| 147 | მუხრუჭის ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 148 | უკუ სვლის ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 149 | უკანა მოხვევის ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 150 | წინა მოხვევის ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 151 | სალონის განათების ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 152 | ნისლსაწინააღმდეგო ფარის ნათურის შეცვლა | 1ც | 10 |
| 153 | გაბარიტის ნათურის შეცვლა | 1ც | 5 |
| 154 | კარის მინის შეცვლა | 1ც | 70 |
| 155 | წინა ფარის ნათურა H4-ის შეცვლა | 1ც | 5 |
| 156 | გამანაწილებელი კოლოფის მოხსნა-დაყენება | 1ც | 450 |
| 157 | გამანაწილებელი კოლოფის ჯაჭვის შეცვლა | 1ც | 240 |
| 158 | გამანაწილებელი კოლოფის შეკეთება | 1ც | 600 |
| 159 | დინამოს მოხსნა-დაყენება | 1ც | 80 |
| 160 | დინამოს ღვედის დამჭიმი როლიკის შეცვლა | 1ც | 50 |
| 161 | კონდიციონერის ღვედის დამჭიმი როლიკის შეცვლა | 1ც | 70 |
| 162 | აკუმულატორის შეცვლა | 1ც | 10 |
| 163 | მოხვევის მუშტას შეცვლა | 1ც | 80 |
| 164 | EGR-ის კლაპანის მოხსნა-დაყენება | 1ც | 70 |
| 165 | ჰიდრომუფტის შეცვლა | 1ც | 60 |
| 166 | რასპრედვალის სალნიკის შეცვლა | 1ც | 300 |
| 167 | ძრავის ბლოკის ხუფის შეცვლა | 1ც | 610 |
| 168 | ბენდექსის შეცვლა | 1ც | 80 |
| 169 | რამის გადაჭერა | კომპ | 35 |
| 170 | საბურავის დაშლა აწყობა ბალანსირება | 1ც | 15 |
| 171 | ინტერქულერი (ტურბოს რადიატორის შეცვლა) | 1ც | 80 |
| 172 | ძრავქვეშა რეზინის შეცვლა | 1ც | 120 |
| 173 | რულის კალონკის  მოხსნა დაყენება | 1ც | 250 |
| 174 | კარის დაშლა-აწყობა | 1ც | 50 |
| 175 | საქარე მინის შეცვლა | 1ც | 200 |
| 176 | ABS –სენსორის შეცვლა | 1ც | 30 |
| 177 | საწვავის ავზის შედუღება | 1ც | 80 |
| 178 | მაყუჩის შედუღება | 1ც | 30-80 |
| 179 | ძრავის დამცავის შეცვლა | 1ც | 10 |
| 180 | ხიდის ხუფის შეკეთება | 1ც | 100 |
| 181 | ხიდის საკისარის შეცვლა | 1ც | 100 |
| 182 | ხიდის მოხსნა-დაყენება | 1ც | 250 |
| 183 | რულავოის ღერძის შეკეთება | 1ც | 450 |
| 184 | ევაკუატორის გამოძახება | 1ც | 20 |
| 185 | ევაკუაცია (ქალაქში) | 1კმ | 2 |
| 186 | ევაკუაცია (ქალაქგარეთ) | 1კმ | 1.8 |
| 187 | დინამოს შეკეთება | 1ც | 70 |
| 188 | სტარტერის მოხსნა-დაყენება | 1ც | 100 |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 189 | სტარტერის შეკეთება | 1ც | 70 |
| 190 | საწვავის წნევის რეგულატორის მოხსნა-დაყენება | 1ც | 50 |
| 191 | საწვავის წნევის რეგულატორის შეკეთება | 1ც | 150 |
| 192 | უკანა ნახევარღერძის საკისარის ამოპრესვა ჩაპრესვა | 1ც | 150 |
| 193 | ძრავის სითხით გამორეცხვა | 1ც | 50 |
| 194 | ნისლსაწინააღმდეგო ფარის შეცვლა | 1ც | 20 |
| 195 | სალონის ქიმწმენდა | 1ც | 250 |

| ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო | შპს „კავკასუს მოტორსი“ |
|---|---|
| სააგენტოს უფროსის<br>ზურაბ ჩეკურაშვილი ______________________ | დირექტორი<br>______________________ გიორგი ამაშუკელი |

სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL - NATIONAL FOOD AGENCY
205142200

LLC CAUCASUS MOTORS
Digitally signed by LLC CAUCASUS MOTORS
Date: 2019.10.23 17:53:57 +04'00'